საქართველოს რაგბის კავშირის

სააპელაციო კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს რაგბის კავშირის (შემდგომში - „სრკ“) სააპელაციო კომისია (შემდგომში - „კომისია“) წარმოადგენს წინამდებარე სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულებით (შემდგომში - “დებულება”) დადგენილი წესებით დანიშნულ და მოქმედ კომისიას, რომელიც განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში.

1.2. კომისია წარმოადგენს პროფესიონალი პირებით დაკომპლექტებულ გუნდს, რომლის შემადგენლობაც დამტკიცებულია სრკ-ს პრეზიდენტის მიერ.

1.3. სრკ-ს წევრები, სრკ-ს წევრი სუბიექტები, მოთამაშეები და სხვა პიროვნებები უფლებამოსილი არიან, გაასაჩივრონ სადისციპლინო კომისიის გადაწვეტილება და დაკისრებული სანქციები, ხოლო კომისია ვალდებულია წინამდებარე დებულებით დადგენილი წესებითა და პროცედურებით, განიხილოს საჩივარი და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

1.4. კომისიის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №61, ბიზნეს-ცენტრი მოზაიკა, მე-5 სართული.

1.5. კომისიის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართია: appeals@rugby.ge

1.6. წინამდებარე დებულება წარმოადგენს კომისიის ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება დავების გადაწყვეტა. წინამდებარე დებულება არეგულირებს დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ყველა პროცესუალურ და სხვა საკითხს. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება კომისიის წევრთა მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 2. პრინციპები

2.1. კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ წინამდებარე დებულებას, სრკ-ს რეგულაციებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. ნებისმიერი ტიპის ზემოქმედება კომისიის წევრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია.

2.2. კომისიის თითოეული წევრი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

2.3. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, რეგულაცია ან წესი, კომისია იყენებს კანონს ან/და წესს რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, კომისია ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა

3.1. კომისია შედგება მინიმუმ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარე.

3.2. კომისიის თავჯდომარე:

ა) ანაწილებს კომისიის წევრებს შორის ფუნქციებს;

ბ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას და განსაზღვრავს კომისიის სამუშაო რეჟიმს;

გ) წარმომადგენს კომისიას მესამე პირებთან;

დ) უზრუნველყოფს კომისიაში შემოსული საჩივრების სამართლიან განაწილებას.

3.3. კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სრკ-ს პრეზიდენტი, სრკ-ს გამგეობასთან შეთანხმებით. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა კომისიის წევრთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3.4. კომისიის თითოეულ წევრს აქვს თითო ხმის უფლება.

3.4. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ კომისიის წევრთა უმრავლესობა, ხოლო კომისიის თავჯდომარე უფლებამოსილია, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე მოიწვიოს სხდომაზე კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 4. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

4.1. საჩივრის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს კომისიის წევრი:

ა) რომელიც საქმეში მონაწილე საჩივრის ავტორის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;

ბ) რომელიც მონაწილეობდა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ წევრის მხრიდან ვერ იქნება უზრუნველოფილი საქმის განხილვისას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვა.

4.2. წინადებარე დებულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია აცნობოს კომისიის დანარჩენ წევრებს თვითაცილების შესახებ.

4.3. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს კომისიის წევრის აცილება, თუკი არსებობს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

4.4. გადაწყვეტილება კომისიის წევრის აცილების შესახებ მიიღება კომისიის წევრთა მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით. აცილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომლის აცილებასაც ითხოვს დაინტერესებული მხარე.

მუხლი 5. საჩივრის წარმოებაში მიღების წესი და ხარჯები

5.1. საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით, დამოწმებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის ხელმოწერით, ხოლო საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს და მას უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საჩივრის ავტორის სახელსა და გვარს, საცხოვრებელ მისამართს, პირად ნომერსა და საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდებას, სამართლებრივ ფორმას, ინფორმაციას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ, საიდენტიფიკაციო კოდს, იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს, ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

გ) გადაწყვეტილებას, რომლის გასაჩივრებაც ხდება;

დ) გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თარიღს;

ე) საჩივრის ავტორის მიერ გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ოფიციალურად მიღების თარიღს;

ვ) გასაჩივრების საფუძველს;

ზ) თუ საჩივარი შეაქვს დაინტერესებული პირის წარმომადგენელს - ფიზიკური პირი(ებ)ის შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - იურიდიული პირის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას;

თ) სადეპოზიტო თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს;

ი) იმ შემთხვევაში თუ საჩივარი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საჩივრის ავტორი ვალდებულია, წარმოადგინოს საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

5.2. საჩივრის ავტორი ვალდებულია წარმოუდგინოს კომისიას საჩივარი საქართველოს რაგბის კავშირის კანცელარიის მეშვეობით მისთვის გადაწყვეტილების შეტყობინებიდან არაუგვიანეს 72 (სამოცდათორმეტი) საათისა. სადისციპლინო კომისია ვალდებულია, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, გადასცეს კომისიას საჩივარი და მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასევე, გადასცეს კომისიას საკუთარი მოსაზრება და წერილობითი ახსნა-განმარტება. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის წარმოდგენის ვადის უკანასკნელი საათი ემთხვევა უქმე ან/და დასვენების დღის საათს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

5.3. სააპელაციო კომისიაში საჩივრის წარმოებაში მიღების აუცილებელი პირობაა სრკ-ს მიერ დადგენილი სადეპოზიტო თანხის გადახდა.

ა) „დიდი 10“-ში და დუბლიორთა ლიგაში მოასპარეზე გუნდებისთვის (კლუბებისთვის) სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების სადეპოზიტო თანხა შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს.

ბ) I ლიგის გუნდებისთვის (კლუბებისთვის) სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების სადეპოზიტო თანხა შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

გ) რეგიონული და ჭაბუკთა ლიგების გუნდებისთვის (კლუბებისთვის) სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების სადეპოზიტო თანხა შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

დ) ყველა სხვა სრკ-ს წევრების, სრკ-ს წევრი სუბიექტების და ფიზიკური პირებისთვის სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების სადეპოზიტო თანხა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი წარმოადგენს საჩივარს საქმეზე, რომელზეც მიმდინარეობს სააპელაციო კომისიის განხილვა ან არსებობს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება - კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობზე.

5.5. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივარი ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

5.6. თუ კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

განმარტება: სადეპოზიტო თანხა გადახდილ უნდა იქნას იმ ლიგის მიხედვით, რომელ ლიგაშიც გუნდმა (კლუბმა) მიიღო სადისციპლინო სანქცია. სადეპოზიტო თანხა გადახდილ უნდა იქნას სრკ-ს ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით (საბანკო გადარიცხვა). გადახდილი სადეპოზიტო თანხა ექვემდებარება დაბრუნებას მთლიანად ან ნაწილობრივ, მხოლოდ კომისიის მიერ დაკისრებული სანქცი(ებ)ის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სადეპოზიტო თანხა არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილება

6.1. კომისია უფლებამოსილია:

ა) წარმოებაში მიიღოს საჩივარი ან გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი ან გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) შეცვალოს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება, შეამციროს ან გააუქმოს დაკისრებული სანქცია ან/და დააწესოს ალტერნატიული სანქცია;

6.2. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს სადისციპლინო კომისიას საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სრული მასალები და წერილობითი მოსაზრება, რომელიც კომისიისთვის გადაცემული უნდა იყოს 2 (ორი) დღის ვადაში.

6.3. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია, განსაზღვროს საჩივრის ღია ან დახურული წესით განხილვა.

7. საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღების წესი

7.1. კომისია საჩივარს განიხილავს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მეტი ვადა, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ვადის არაუმეტეს დამატებით 10 (ათი) სამუშაო დღით გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

7.2. საჩივრის განხილვის ენაა ქართული, ხოლო ნებისმიერი უცხოენოვანი დოკუმენტაცია კომისიას უნდა წარედგინოს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით. იმ შემთხვევაში თუ კი მხარე არ ფლობს ქართულ ენას, იგი ვალდებულია იყოს წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე თარჯიმანთან ერთად. თარჯიმნის ხარჯების ანაზღაურება ევალება მხარეს, რომელსაც აქვს საჭიროება იყოს წარმოდგენილი თარჯიმანთან ერთად.

7.3. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. დაუშვებელია კომისიის წევრის მხრიდან ხმის მიცემისაგან თავის შეკავება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის კომისიის თავმჯდომარეს.

7.4. კომისია უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს სხდომის ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო. იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის გადაწყვეტილებით მოხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზეპირი განხილვა, კომისია ვალდებულია, შეატყობინოს ამის შესახებ საჩივრის ავტორს.

7.5. ზეპირი განხილვის შემთხვევაში, კომისიის სხდომა საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის დასაბუთებული მოთხოვნით არსებობს სხდომის დახურვის საჭიროება.

7.6. თუ პირი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, კომისიას შეუძლია განაგრძოს საჩივრის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

7.7. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. თუ კომისიის წევრს აქვს განსხვავებული აზრი, იგი დაერთვება სხდომის ოქმს, რომელშიც გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

7.8. კომისია, ასევე, უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ:

ა) დაუშვას ზეპირ განხილვაზე სხვა პირები;

ბ) დაატოვებინოს სხდომის ზეპირი განხილვა პირს;

გ) განსაზღვროს მოწმის/ექპერტის/სპეციალისტის დაკითხვის ფორმა;

დ) მიიღოს ან უარი თქვას მტკიცებულებების მიღებაზე;

ე) განუსაზღვროს მხარეს გონივრული ვადა ახსნა-განმარტებისთვის;

ვ) დაუსვას მხარეს/მოწმეს/ექსპერტს შეკითხვები;

ზ) გადადოს სხდომა სხვა დროს;

თ) განახორციელოს სხვა საპროცესო მოქმედებები საკუთარი შეხედულებისამებრ;

7.9. კომისიის გადაწყვეტილება ეცნობა მხარეებს სწრაფად საქმის განხილვის დასრულების შემდგომ, გონივრულ ვადაში. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განმარტოს მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სხდომის დასრულებისას, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარის მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და სავალდებულოა შესასრულებლად საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირისთვის.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ამ დებულებით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

8.2. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

8.3. წინამდებარე დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სრკ-ს გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.4. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაბარდებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს.

8.5. კომისიის საქმიანობიდან ან წინამდებარე დებულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.